

საქართველო



საორტული გაზეთი შაბათი 5 აგვისტო 2006 №179 (2801)

ფასი 50 თეთრი

ეროვნულ-ახალგაზრდული მოძრაობა

ტოპი ენსხედები, მინბა თბილისში

დღეს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი რალფ მინგე გერმანიიდან თბილისში ჩამოდის, ხოლო საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტომპიოლერი რამდენიმე დღეში გერმანიიდან ჰოლანდიაში ჩავა.


საქართველოს ეროვნული გუნდი 16 აგვისტოს ფარერის კუნძულებს სტუმრობს ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის პირველ შეხვედრაში, ქართველი 21-წლამდელები კი თავიანთი შესარჩევი ციკლის მეორე ეტაპზე იმავე დღეს, 16 აგვისტოს, ლიტველ თანატოლებს ეთამაშებიან და მინგემ ბალტიისპირეთში წამსვლელთა სია უნდა დაადგინოს.

ტომპიოლერის ჰოლანდიური ვიზიტის მიზანიც კონკრეტულია — 10 აგვისტოს ენსხედში „ტვენტე“ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ესტონურ „ლევადიას“ მასპინძლობს და ტვენტელი გოგა გაზოკიძე შეხვედრაში სრულად თუ არა, რამდენიმე წუთს ალბათ ითამაშებს.

ტომპიოლერი გაზოკიძეს ნაკრებისთვის ძალიან ფასეულ ფეხბურთელად მიიჩნევს და გამოიძახა კიდევ ფარერებთან მატჩისთვის, თუმც ტრავმებისგან გაწამებული გაზოკიძე სრულად გამოჯანმრთლებული ჯერაც ვერაა და მისი ახლანდელი კონდიციები ერთობ საინტერესოა ტომპიოლერისთვის. ადრეც გაუწყეთ, რომ გაზოკიძე უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს, ორიოდ დღის წინ კი ერთ-ერთ ქვედალიგელთან საკონტროლო მატჩში რამდენიმე წუთი ითამაშა.

ამასობაში ფარერელთა დამრიგებელმა მარტინ ოლსენმა ტომპიოლერის გუნდთან დასახვედრ ფეხბურთელთა სიაც გამოამზეურა, რასაც მეორე გვერდზე ნახავთ.

დავით თავართქილაძე



ბოლო იბედის აპელირება აპენინებზე

იუვენტუსის შანსი: ოლიმპიური კომიტეტი

იტალიის ოლიმპიური კომიტეტი კალჩოპოლის სკანდალში ყველაზე დიდ დამნაშავედ ცნობილი და ყველაზე მეტად დასჯილი „იუვენტუსის“ საჩივარს 18 აგვისტოს განიხილავს — ოლიმპიური კომიტეტი აპენინებზე სპორტის რაგინდარა სახეობის პატრონი და მეთვალყურეა.

გვიან ხომ არ არის 18 აგვისტო? თუ გავიხსენებთ, რომ იტალიელები სერია A-სა და სერია B-ს პირველობებს 9 სექტემბრამდე არ იწყებენ, თითქოს გვიანი არ უნდა იყოს. შეგახსენებთ, რომ „ბებერი ქალბატონი“ საგანგებო ტრიბუნალმა სერია B-ში გადატყორცნა, ბოლო ორი ჩემპიონის ტიტული ნაართვა და ახალ სეზონს მინუს 17 ქულით აწყებინებს. „იუვენტუსთან“ ერთად დაისაჯნენ „ლაციო“, „ფიორენტინა“ და „მილანი“, ოლონდ ესენი სერია A-დან არ გაუძევებიათ, „მილანი“ სულაც ჩემპიონთა ლიგაში დაუშვეს და ამ ტურნირს მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან იწყებს.

კალჩოპოლის სკანდალი ჩემპიონატის თამაშებზე სასურველ მსაჯთა დანიშვნის სისტემის აღმოჩენის გამო აგორდა.



თუ ფეხბურთი არ მიღის კანონთან, კანონი მივა ფეხბურთთან! თურქები თაღლითების მუხლით ცემას აპირებენ

თურქეთის ვიცე-პრემიერმა მეჰმეთ ალი საჰინმა განაცხადა, რომ საფეხბურთო თაღლითები სერიოზულად უნდა დაისაჯონ და ამ საქმეს სახელმწიფო თავის თავზე აიღებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თურქები თავიანთი ფეხბურთის სერიოზულ გაწმენდას აპირებენ.

„კანონს აშკარად ნაკლი აქვს — ბრძანა საჰინმა გაზეთ „მილიეთთან“ საუბრისას — ახლა მე მჭიდროდ ვთანამშრომლობ იუსტიციის მინისტრ ჩემილ ჩიჩეკთან, რათა ოქტომბერში კოდექსს მუხლი დავაშალოთ და მომავალში საფეხბურთო მაქინაციები ამ მუხლის მიხედვით გასამართლდნენ“.


გამოდის, რომ აქამდე საფეხბურთო კორუფცია კანონს გარეთ იდგა, თავს მშვიდად გრძნობდა და მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგობას თუ აწყდებოდა. ვიცე-პრემიერის განცხადება მოჰყვა თურქულ პრესაში აგორებულ კამპანიას, რომლის თანახმადაც მათ ჩემპიონატში არის გარკვეული რაოდენობა გუნდებისა, რომლებიც თამაშების ჩაწვობას მისდევენ. ჯერჯერობით იძიებენ ორ ინციდენტს. ერთი ეხება „დენიზლი-სფორს“, რომელმაც, თითქოსდა, გავარდნისგან თავის გადარჩენის მიზნით ჩემპიონატის ბოლო თამაშში ჩააწყო, მეორე კი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსანს, რომელმაც ასევე გავარდნის პირას მყოფ „სამსუნსფორს“ (რომელიც საბოლოოდ მაინც გავარდა) დიდძალი თანხის სანაცვლოდ ერთ კონკრეტულ შეხვედრაში მოგება აღუთქვა.



მეჰმეთ ალი საჰინი

კანონბარეში გრეში

გეტლინის მწვრთნელს ყველა კარი ჩაუკეტეს



ტრენორ გრემმა ჯასტინ გეტლინის გარდა სხვა ბევრიც აცლუნა

ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიურმა კომიტეტმა მძლეოსანთა სკანდალურად ცნობილ მწვრთნელს ტრენორ გრემს აუკრძალა მის დაქვემდებარებაში არსებული ობიექტებითა და საწვრთნელი ბაზებით სარგებლობა. როგორც USOC-ის (აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტი) შეფმა პიტერ უბეროტმა განაცხადა, აკრძალვის მიზეზი გახლავთ იმ ათლეტთა სიმრავლე, რომლებიც გრემის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდნენ და მერე დოპინგზე ჩავარდნენ. თავის დროზე გრემი წვრთნიდა მერიონ ჯონსს, ტიმ მონტგომერს, ელვინ და კევინ ჰარისონებს, მაიკლ კოლინსს, პატრიკ ჯარეტს და ყველა ესენი სხვადასხვა დროს დოპინგზე ჩაცვივდნენ და დისკვალიფიცირებულ იქნენ.

USOC-ის შეფების მოთხოვნების ფაილა კი ჯასტინ



გეტლინის ამბავმა აავსო — 100 მეტრზე სირბილში ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდის თანაავტორი აგრეთვე გრემის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს და ამა წლის 22 აპრილს აღებული დოპინგის შემთხვევა მის სისხლში ტესტოსტერონის მომატებული რაოდენობა აჩვენა. იმის გამო, რომ გეტლინი ადრე, 2001 წელსაც იყო შემჩნეული დოპინგის ხმარებაში, მას სამუდამო დისკვალიფიკაცია ეტუქრება. საერთაშორისო ანტიდოპინგო სააგენტო კმაყოფილი დარჩა ამერიკის ოლიმპიური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებით. ამას გარდა, მძლეოსანთა „ოქროს ლიგის“ სერიის ბერლინური ტურნირის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, არ დაუშვან სექტემბერში გასამართ შეჯიბრზე ის სპორტსმენები, რომლებიც გრემის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდნენ.

შვედები ფულს ითვლიან და მედლებს ელიან

ორ დღეში შვედეთის ქალაქ გეტებორგში მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო და, როგორც პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ტურალფ ნილსონმა შვედური „DAGENS NYHETER“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა,


ბილეთების ორი მესამედი უკვე გაყიდულია. როგორც ნილსონი ამბობს, 374 ათასი ბილეთიდან 250 ათასი გაყიდულია და შემოსულმა თანხამ 100 მილიონი შვედური კრონი, ანუ 12,5 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა და ეს თანხა უკვე იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე 2002 წელს იყო, როდესაც ევროპის წინა ჩემპიონატის მიუნხენში უმასპინძლა.



კრისტინ არონი გეტებორგში ვერ იბრუნს

ნილსონის აზრით ამის მიზეზი შვედეთში მძლეოსნობის არნახული პოპულარობაა. ამ პოპულარობას იქაური ვარსკვლავებიც უწყობენ ხელს — შვედებს არაერთი პირველხარისხოვანი მძლეოსანი ჰყავთ და ჩემპიონატის მასპინძლები იმედოვნებენ, რომ მათი ათლეტები შინაურ სარბილეზე არნახულ წარმატებას მიაღწევენ. აქვე ერთი, ჩემპიონატის ორგანიზატორებისა და მძლეოსნობის მოყვარულთათვის სამწუხარო ამბავიც — ქალთა შორის ევროპის რეკორდსმენი 100 მეტრზე სირბილში, ფრანგი კრისტინ არონი, ვისი სარეკორდო დროც 10,73 წამია, გეტებორგში ვერ იასპარეზებს. როგორც AFP იუწყება, არონს საფრანგეთის ჩემპიონატისას ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და ამის გამო ევროფორუმში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

Formula 1 XIII შტაბი უნგრეთის დიდი პრიზი
კუნგარორინგი
 ბუდაპეშტი, 6 აპრილი 2004 წელი



შარშან: 1 რაკონენი (მაკლარენი); 2 მ. შუმახერი (ფერარი); 3 რ. შუმახერი (ტოიოტა); 4 ტრული (ტოიოტა); 5 ბატონი (B.A.R.); 6 ჰაიდფელდი (უილიამსი); 7 ვებერი (უილიამსი); 8 სატო (B.A.R.)
 წრის რეკორდი: 2004 — მ. შუმახერი (ფერარი) 1:19,1 (199,5 კმ/სთ)

ჭაშაპარიტაჰის მოქანტი რთულად შესასრულებალი მარბივი ამოცანა

ზედიზელ სამი ბრწყინვალე გამარჯვება და მსოფლიოს შეიღვზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი 11 ქულითა ჩამორჩება მოქმედ ჩემპიონსა და მიმდინარე გათამაშების ლიდერს ფერნანდო ალონსოს. ჩემპიონატის ბოლომდე კიდევ ექვსი ეტაპია დარჩენილი და „წითელ ბარონს“ აქვს იმის რეალური შანსი, მერვე ტიტულით რომ დაამშვენოს თავისი უნიკალური საჩემპიონო კოლექცია. საამისოდ შუმის აუცილებლად სჭირდება „კუნგარორინზე“ წარმატებული გამოვლა. „უნგრეთის დიდი პრიზი“, შეიძლება გადაწყვეტი ადმოჩნდეს საჩემპიონო ბრძოლაში და მიხაელს ეს კარგად აქვს გაცნობიერებული. „ზედიზელ სამი მოგება მშვენიერია, მაგრამ არა მგონია, სულ ასე გაგრძელდეს და უახლოესი ეტაპებიც ჩვენი დუბლით დასრულდეს — განაცხადა „ფერარის“ ლიდერმა უნგრეთში ჩასვლისას დი დაამატა — არ არის აუცილებელი, ყველა რბოლაში ჩვენი დომინანტით ჩაიაროს. ამოცანა მარტივია — უნდა გვცადოთ, ყველა რბოლაში ვაჯობოთ „რენოს“ და მათზე მეტი ქულეები დავგროვოთ. თანამედროვე ფორმულა 1-ში წინასწარ ვერაფერში იქნება დარწმუნებული, მაგრამ ამ წუთისთვის „ფერარი“ ძალზე სწრაფია და ჩვენი ამოცანაა, მაქსიმალურად ვისარგებლოთ შექმნილი სიტუაციით.“

„უნგრეთი დიდ პრიზს“ არ ეხება, მაგრამ „ფერარისთან“ დაკავშირებული ერთი ახალი ამბავი ის გახლავთ, რომ წლის ბოლოს გუნდიდან მიდის ფერარელთა წარმატებების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, გუნდის ტექნიკური დირექტორი როს ბრაუნი. ოფიციალურად აცხადებენ, რომ ბრაუნი ერთ-წლიან შევბუღებას იღებს, მაგრამ

ნაკლებად სავარაუდოა, ამ ერთი წლის შემდეგ უკან დაბრუნდეს. „ფერარისა“ და კერძოდ მიხაელ შუმახერისთვის ბრაუნის წასვლა დიდი დანაკლისია იქნება. შუმისა და ბრაუნის თანამშრომლობა 15 წლის წინ დაიწყო. ისინი ერთად მუშაობდნენ „ბენეტონში“ 1994-95 წლებში, როდესაც მიხაელმა პირველი ორი ტიტული მოიპოვა და შემდეგ ეს თანამშრომლობა „ფერარიში“ გაგრძელდა. მოკლედ რომ ვქვათ, უფროსმა შუმახერმა შვიდივე ჩემპიონობა იმ გუნდების სახელით მოიპოვა, რომელთა ტექნიკურ განყოფილებასაც ბრაუნი ედგა სათავეში. დაუბრუნდეთ „უნგრეთის დიდი პრიზის“ თემას და ახლა „რენოელთა“ საჯინიბოში შევიხედოთ. გარეგნულად არ ამჟღავნებენ, მაგრამ ფრანგული გუნდის რიგებში შემოფოტება იგრძნობა. „კუნგარორინგისთვის“ „რენო რამდენიმე ცკლილებას გეგმავს და იმედოვნებს, რომ გუნდი უკვე ამ უქმეებზე გამოვა მცირე კრიზისიდან.

ისიც სათქმელია, რომ კიდევ ერთი ტოპ-გუნდის, „მაკლარენის“ წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ ისინი საჩემპიონო ბრძოლაში „რენოს“ დახმარებას აპირებენ და ეს იმით ახსნეს, რომ მათი გუნდები „მიშლენის“ საბურავებითაა აღჭურვილი, ხოლო „ფერარი“ უცხო „ბრიჯსტოუნის“ კლიენტია.

ძნელი სათქმელია, რა დახმარებაზე ლაპარაკი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ „მაკლარენის“ ფინელი პილოტის, კიმი რაკონენისთვის „კუნგარორინგი“ ერთ-ერთი უსაყვარლესი ტრასაა და ხვალინდელ რბოლაში „ინსულის კაცი“ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს.

ბია მუჯირი



